რამდენიმე საათი სტუმრად რაინერ მარია რილკეს შვილიშვილთან

ვუძღვნი რეზო გამცემლიძის ნათელ ხსოვნას

ნოდარ კაკაბაძე

დაახლოებით ორი წელი დაჰყო რაინერ მარია რილკემ (1900-1901) ბრემენსა და ჰამბურგს შორის მდებარე მაშინ ბოჰემურ, არტისტულ, მოლევარე ხელოვანთა კოლონიაში — ვორპსვედეში. ეს არის ხანმოკლე პერიოდი ლუ ზალომესა და ოგიუსტ როდენს (ე. ი. ტოლსტოის, რუსეთსა და საფრანგეთს) შორის: რილკე დაშორდა ლუ ზალომეს (შინაგანად, რუსეთსაც), ხოლო როდენის ფენომენი ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ დამდგარა დღის წესრიგში, ეს იყო პოეტის ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი ჟამი: პოეზიით, მუსიკით, მხატვრობით თრობის 2 ნაყოფიერი წელიწადი ჩრდილო-გერმანული ბუნების წიაღში.

აქ შეხვდა რილკე ორ საინტერესო ქალს: ქერა მხატვარს, პაულა ბეკერს და მის მეგობარს, შავგვრემან მოქანდაკეს, კლარა ვესტჰოფს, ბრემენელი სოვდაგრის ქალიშვილს, რომელსაც როდენთან უკვე ესწავლია. ეს ქალები განუყრელნი არიან, დები გეგონება... ხდება უცნაური რამ: რილკეს ორივე ქალი ერთნაირად მოსწონს, ორივე თავისთვის უნდა, არც ერთი სხვისთვის არ ემეტება.. და არც ერთისკენ არ იხრება, ორივეს დაახლოებით თანაბრად ეაშიკება. უცნაური ისაა, რომ ქალები არ ღიზიანდებიან, მათ შორის არავითარი შური და ქიშპობა არ შეიმჩნევა და თითქოს არცერთი არ გიჟდება გათხოვებაზე... როგორც ჩანს, ტიპიური ქალები არ არიან.

რილკე განებივრებული და გათამამებული ბავშვივითაა, აშკარად მერყეობს მათ შორის. რილკესათვის მოულოდნელად ქერა პაულა ბეკერი თხოვდება მხატვარ ოტო მოდერზონზე და ამიერიდან ოფიციალურად პაულა მოდერზონ-ბეკერად იწოდება (ის ძალიან საინტერესო, ორიგინალური მხატვარია და მან რილკეს უაღრესად შთამბეჭდავი პორტრეტი დაგვიტოვა, რომელიც, მართალია, მთლად დასრულებული არ არის, მაგრამ ექსპრესიონისტული ფერწერის ერთ-ერთ შედევრად ითვლება. ამბობენ, რომ ეს არის ერთადერთი კონგენიალური, ადეკვატური პორტრეტი პოეტისა).

1901 წელს რილკე და კლარა ვესტჰოფი ქორწინდებიან. ვესტერვედეში — ბრემენისა და ვორპსვედეს მახლობლად — ერთ კოლორიტულ გლეხურ სახლში თავის გემოზე იწყობენ ბინას. რილკე ცდილობს როგორმე ერთ ადგილას მოიკიდოს ფეხი, დააფუძნოს საკუთარი ოჯახი და კერა, მიაღწიოს ერთგვარ ყოფაცხოვრებით სტაბილურობას, თავისი შრომით არჩინოს ოჯახი.

არსებობს ფოტო, რომელზედაც რილკე და ფეხმძიმე კლარა ვესტჰოფია გამოსახული: კლარა უფრო მაღალია და „ახოვანი", თითქოს ენერგიულად ჩაბღაუჭებია პოეტს, თითქოს ეშინია, არ გაექცეს, არ გაეპაროს, მაგრამ ვესტჰოფის „აგრესიულობის" შთაბეჭდილება მოჩვენებითი უნდა იყოს, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

1901 წლის 12 დეკემბერს რაინერ მარია რილკესა და კლარა ვესტჰოფს ვესტერვედეში შეეძინათ ქალიშვილი, რუთ რილკე. პატარა რუთს რილკე ერთ-ერთ პირად ბარათში ასე აღწერს: „მას მუქი ფერის თმა აქვს, მუქი ლურჯი თვალები, სერიოზული შუბლი და ერთობ მშვენიერი ხელები".

...მაგრამ რაინერ მარია რილკეს, რომელიც ერთგან წერს: „ხეტიალი და ლოდინი არის ჩემი სტიქია", ვერ აკავებს ვერც ახლადშერთული ცოლი, ვერც ახლადშეძენილი ქალიშვილი, ვერც ვესტერვედეს სოფლური მყუდროება, ვერც ოჯახური სიმშვიდე და 1902 წლის აგვისტოში, ე. ი. დაქორწინებიდან 1 წლის შემდეგ პარიზს გარბის როდენთან სამუშაოდ. ცოლ-ქმარს არავითარი კონფლიქტი არ მოსვლიათ, უბრალოდ რილკეს არ შეეძლო ერთ ადგილას და ერთ სიტუაციაში ყოფნა. იგი ამ მხრივ მოხეტიალე აჰასფერივითაა. ქორწინება, მეუღლეობა, სხვა ადამიანთან ხანგრძლივი ყოფნა რილკეს მიერ სიმარტოვის, ე. ი. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წართმევად განიცდება. რილკეს არ შეეძლო ოჯახის შექმნა, გულწრფელად სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

რილკე ერთგან ასეთ პარადოქსულ აზრს გამოთქვამს ქორწინებასა და მეუღლეობაზე: „...კარგი ქორწინება ისაა, როცა თითოეული მეუღლე მეორეს გუშაგად უდგას, რომ მეორეს სიმარტოვე არ დაირღვეს". იქვე: „ორი ადამიანის მუდმივად ერთად ყოფნა შეუძლებელია, და თუ კი, ეს სადმე ხდება, მაშინ ეს არის შეზღუდვა, ორმხრივი შეთანხმება, რაც ერთს ან ორივე მეუღლეს ართმევს თავისუფლებას და უსპობს განვითარების შესაძლებლობას".

ყოველი დიდი ხელოვანი, ალბათ, უკიდურესი ინდივიდუალისტი და, ამ სიტყვის ძალიან ფართო და სპეციფიკური გაგებით, ეგოცენტრიკოსიცაა — თავისი ბედით, თავისი დემონით, თავისი თავით ატანილი. ასეთი იყო გოეთეც (სწორედ ასეთი გოეთე დაგვიხატა თომას მანმა თავის რომანში — „ლოტე ვაიმარში"). ასეთი იყო ჩვენი გალაკტიონიც, ბეტჰოვენიც.

დიდ ხელოვანს, თუ მეტისმეტად განზოგადებული და გადაჭარბებული არ გამომდის, თავდავიწყებით, ე. ი. საკუთარი თავის დავიწყებით არ შეუძლია მეორე ადამიანის, ე. ი. ქალის სიყვარული. სხვაგვარად: დიდ პოეტს ქალში თავისი თავი ანდა ქალის საკუთარი იდეალი უყვარს. თუმც, ალბათ, სხვა საპირისპირო მაგალითებიც დაიძებნება.

...რილკე ძალიან იშვიათად ნახულობდა თავის ქალიშვილს. არც კლარა არ ყოფილა ცოლად დაბადებული, არც მისთვის ყოფილა ქორწინება და ქმარი აბსოლუტური ღირებულება, უქმრობას სრულებით არ განიცდის, მთელს ევროპაში მოგზაურობს და ევროპის ცენტრებში ბინადრობს. სრულებითაც არ არის დაჩაგრული და მიტოვებული ქალი. მისთვის მთავარია შემოქმედება, საკუთარი საქმე! ფროიდსა და ოტო ვაინინგერს არც კლარა ვესტჰოფის ფენომენის ახსნა გაუჭირდებოდათ, იმის მიუხედავად, რომ ამ ქალის ცხოვრება და საქციელი თითქოს ერთი ზერელე შეხედვით მათ თეორიებს არ ადასტურებს. ქმართან კლარას არარეგულარული, მაგრამ კეთილგანწყობილი მიმოწერა აქვს, ხოლო პატარა რუთი მშობლებთან ობერნოილანდში (ბრემენის მახლობლად) ჰყავს გაბარებული; თვითონაც იშვიათად ნახულობს თავის ქალიშვილს. ასე რომ, რუთ რილკე ბებიასა და ბაბუასთან იზრდებოდა უდედ-მამოდ.

საინტერესოა ისიც, რომ ყოველივე მომხდარის შემდეგ ერთმანეთთან ურთიერთობა არ გაუფუჭებიათ და მეგობრობა არ დაურღვევიათ არა თუ მხოლოდ რილკესა და კლარა ვესტჰოფს, არამედ არც პაულა ბეკერსა და კლარას, პაულასა და რილკეს და რილკესა და მოდერზონს (პაულა ბეკერი 31 წლისა 1907 წელს მუცელს გადაყვა პირველი მშობიარობის დროს; კლარა 76 წლისა გარდაიცვალა 1954 წელს).

ცხადია, რილკესი და კლარას ასეთი „უნათესაობა" და „უჯიგრობა" მთლად ტიპიური არ არის ყველა ხელოვანისა და მწერლისათვის. მაგალითად, საკმაოდ ინდივიდუალისტი და ეგოცენტრიკოსი მწერალია პეტერ ჰანდკე, მასაც დაახლოებით ისეთივე უმდგრადი ოჯახი ჰქონდა, როგორიც რილკეს. თვითონ პარიზის მახლობლად კლამარში ცხოვრობდა, ხოლო მისი ცოლი მსახიობი ქალი ბერლინში ბინადრობდა და იქაურ თეატრში თამაშობდა. მათი ერთადერთი ქალიშვილი იზრდებოდა მამასთან საფრანგეთში და პეტერ ჰანდკე უწევდა შვილს მამობასა და დედობასაც. საქართველოში რომ ჩამოვიდა იმის მიუხედავად, რომ ძალიან მოეწონა აქაურობა და სიამოვნებით ცოტა ხანს კიდევ დარჩებოდა, მაინც ჩქარობდა: შვილს არდადეგები უთავდებოდა და სკოლაში დროზე უნდა მიეყვანა (შვილი დროებით დედასთან იყო ბერლინში, სწავლობდა კი საფრანგეთში). ასეთი მაგალითებიც არსებობს.

...დიდხანს ვერც როდენთან გაძლო რილკემ. დაახლოებით 1 წლის შემდეგ (1903 წ.) იტალიაში გარბის, 1904 წ. შვედეთს მიდის ელენ კეის მიწვევით და ა. შ. და ა. შ.

...1993 წელს ივნისის დამდეგს ვაიმარში ტრადიციულად გოეთეს საზოგადოების 73-ე ყრილობა გაიმართა (ეს ყრილობა ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა). როგორც ყოველთვის, ქართული დელეგაცია გერმანულის შემდეგ აშკარადაც ყველაზე მრავალრიცხოვანია. ამ ყრილობაზე გოეთეოლოგიის დარგში დამსახურებისათვის ლევ კოპელევი გოეთეს მედლით დაჯილდოვეს.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ დარბაზში ლევ კოპელევთან ერთად ვიჯექი და რაღაცაზე ვსაუბრობდით. კოპელევს მომღიმარე ხანში შესული კაცი და ქალი მოუახლოვდნენ, ქალმა გოეთეს მედლით დაჯილდოება მიულოცა და თავი რილკეს შვილიშვილად გააცნო. კაცი მისი ქმარი იყო. მე ისინი კარგა ხნის წინათ, ერთ-ერთ ადრინდელ ყრილობაზე გავიცანი, მაგრამ მათ აღარ ვახსოვდი და მეც ისინი უცებ ვერ ვიცანი.

რილკეს შვილიშვილმა შინ დაპატიჟა ლევ კოპელევი, მობრძანდით, ვისაუზმოთ, ვისაუბროთ და თან ლეონიდ პასტერნაკის (პოეტ ბორის პასტერნაკის მამის) ცნობილ სურათს გიჩვენებთო, რომელზედაც ბაბუაჩემია გამოსახულიო.



1993 წლის 5 ივნისს შუადღისას ვეწვიეთ რილკეს შვილიშვილს, იოზეფა ბაიერს. დღეს პირველი ცხელი დღეა, რაც აქა ვართ. ჯერ სასტუმრო ოთახში ვისაუზმეთ, სადაც ლეონიდ პასტერნაკის ცნობილი სურათი ჰკიდია (ყავა ან ჩაი, ცოტაოდენი ხამცხვარი — ევროპელებს ჭამაში ზედმეტობა არ უყვართ). შემდეგ, რადგან ძალიან ცხელოდა, დიდ მოლიან ეზოში გავედით. და ვაშლის ხის ჩრდილში მდგარ პატარა მაგიდას მოვუსხედით. აქ ხენდროს მივირთმევთ.

ლევ კოპელევს გარდა, აქა ვართ: რილკეს შვილიშვილი იოზეფა, მისი ქმარი კლაუს ბაიერი, იოზეფას ვაჟიშვილი კონსტანტინი, კონსტანტინის ცოლი ეველინი, გოეთეს საზოგადოების პრეზიდენტის მეუღლე, გერმანისტი მეჰტჰილდ კელერი, მოსკოველი გერმანისტი ნინა პავლოვა, დათო კაკაბაძე და მე.

...იოზეფა რუთ რილკეს ქალიშვილია, მას უფროსი ძმაც ჰყავს, რომელიც მუდამ დასავლეთში ცხოვრობდა — ის არის ბაბუის მემკვიდრეობის გამგებელი, საავტორო უფლებებიც მის ხელშია...

გერმანიის გაერთიანებამდე ისინი თითქმის ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ეს ქალი, იოზეფა ბაიერი ყურადღებას მხოლოდ იმით იქცევს, რომ ის რილკეს შვილიშვილია — ასე რომ არ იყოს, ინტერესი ამ მანდილოსნისადმი, ალბათ, მხოლოდ მეუღლისა და შვილების წრით შემოიფარგლებოდა.

მათ სახლში, ვაიმარის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით რომ დგას, რაინერ მარია რილკეს ატმოსფეროზე მხოლოდ ის მიანიშნებს, რომ სასტუმრო ოთახში თვალსაჩინო ადგილას ბორის პასტერნაკის მამის, მხატვარ ლეონიდ პასტერნაკის მიერ შესრულებული რაინერ მარია რილკეს მოზრდილი პორტრეტი ჰკიდია.

რილკეს შვილიშვილის მეუღლე, კლაუს ბაიერი ვაიმარში ცნობილი ფოტოგრაფია (ალბათ, მხატვრული ფოტოგრაფი). თუ მეხსიერება არ მღალატობს, ის საქართველოშიცაა ნამყოფი და ერთი ალბომი, მგონი საქართველოსაც მიუძღვნა. საერთოდ, ვაიმარის ცნობილი ალბომები აქვს შედგენილი (ერთ-ერთი მეც მაჩუქა).

რილკეებს (მათ პირობითად ვუწოდებ ასე მოხერხებულობისა და სიმოკლისათვის, თორემ ისე არც ერთი მათგანი რილკე აღარაა) უხარიათ, რომ მათთან სტუმრადაა გერმანიაში ძალიან პოპულარული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევ კოპელევი, რომელსაც როგორც ვაიმარში, ასევე სხვა ქალაქებშიც ქუჩაში ცნობენ, ულიმიან და ესალმებიან, რადგან იგი ხშირად ჩნდება გაზეთების ფურცლებსა და ტელევიზიის ეკრანზე. კოპელევი პირადად იცნობდა ბორის პასტერნაკს და პერედელკინოში მისი დაკრძალვის მთელი ცერემონიალი ფირზე აქვს აღბეჭდილი.

იოზეფა ბაიერი ქმართან ერთად თავიდანვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩარჩა: აქ, ადრეულ წლებში მაინც, რილკეს ნათესაობა სახიფათო თუ არა, სახარბიელოც არ იყო. რილკე გდრ-ში დიდხანს დეკადენტ, ავადმყოფურ, ბურჟუაზიული დასავლეთის მავნე პოეტად ითვლებოდა, რომლის გინებითა და თათხვით პოლიტიკურ კაპიტალს აგროვებდნენ პროსტიტუტი კრიტიკოსები და რაც კარგ ტონად მიიჩნეოდა ალფრედ კურელასა და ვილჰელმ აბუშის ყაიდის იდეოლოგიური დარგის ფუნქციონერებს შორის.

ამ ოჯახში რილკეს საგანგებო კულტი არ შეიმჩნევა, არც მისი ლექსების კითხვა თუ ციტირებაა აქ მიღებული და არც განსაკუთრებული პიეტეტი იგრძნობა პოეტის მიმართ, გარდაცვლილი მგოსნის ზოგიერთ „კერპთაყვანისმცემლურ" ოჯახში რომ იციან.

სხვა რელიკვია, გარდა პასტერნაკის ამ ორიგინალისა, მე მგონია, ოჯახში არ ინახება (ყველაფერი, როგორც ჩანს, უფროსმა შვილიშვილმა სამშვიდობოზე გაიტანა თავის დროზე დასავლეთში, თუმცა ბევრი არაფერი დარჩებოდა მუდმივად მოხეტიალე, საკუთარი სახლ-კარის უქონელ პოეტს).

...იოზეფა მშვიდი, წყნარი, თავმდაბალი, უხმაურო ქალი ჩანს, არავითარი ექსცენტრულობა და ექსპანსიურობა არ ემჩნევა, თავი მაინცდამაინც არ მოაქვს, რომ რილკეს შვილიშვილია, ეს დამსახურებად არ მიაჩნია, როგორც ეს ჩვენში ზოგიერთ ერთდროს სახელოვანი თავადიშვილური გვარის კოკობზიკა უბადრუკ ნაშიერებს სჩვევიათ.

...მშვენიერი მოლიანი ეზოა. თუ ნიუანსებსა და დეტალებს არ მიაქცევ ყურადღებას, თანაც თვალს ოდნავ მოჭუტავ, ფანტაზიის „წახალისების" შემთხვევაში შეიძლება თავი რომელიმე ქვემოიმერული სოფლის კონდრიან და ხეხილიან ეზოში წარმოიდგინო, მაგალითად, ხონის რომელიმე მახლობელ სოფელში ან სიმონეთში. თვალებს თუ მთლად დახუჭავ, ჭრიჭინობელების მონოტონური ჭრიჭინიც შემოგესმება და ქვემოიმერული სამეზობლო გადაძახილებიც. (სამოცდაათ წელს გადავაბიჯე და ცოტა სენტიმენტალური გავხდი: გული ადვილად მიჩუყდება, ცრემლები ყელში მებჯინება და ჩემი იმერელი წინაპრების მიწისა და ბავშვობის უცნაური ნოსტალგია მომეძალება ხოლმე)...

...ოღონდ გამასპინძლება განსხვავებულია. იმერეთში ჭურის თავზე ხრიკეთი ღვინოს დაგაძალებდნენ, იქვე შეიძლება ტაბლაც დაგიდგან, ხაჭაპურს თუ არა, მჭადსა და ყველს მაინც მოგაწვდიდნენ, პრასსა და ოხრახუშსაც მოგიტანდნენ... აქ კი — გერმანიაში ვაშლის ხის ძირას გაქათქათებულ სუფრაზე ყავას ან ჩაის (სურვილის მიხედვით) მოგართმევენ თან ცოტა ხამცხვარსა და ბისკვიტსაც მოაყოლებენ (გადაჭარბება არაფერში არ უყვართ!) ხენდროსაც და ნაყინსაც მოგაწვდიან (თუ გაიპრანჭე და თავპატიჟი დაიდე, მაშინვე მოგეშვებიან, არ შეგაწუხებენ). რესპექტაბელურ საზოგადოებაში ლუდს ერიდებიან, ფრანგულ ან რაინის ღვინოს ამჯობინებენ.

...ვაშლის ხის ჩრდილში ვსხედვართ, ხენდროს შევექცევით, მათ როგორც გვითხრეს, „პირადი" ბულბული ჰყავთ ეზოში, მუდმივად მათთანაა და გალობს (ახლაც უსტვენს)... ეზოში დგას გერჰარტ ლუნგვიცის მიერ მუხის ხისაგან გამოთლილი ფრანჩესკო ასიზელის (წმიდა ფრანცისკუსის) ქანდაკება...

...იმავე დღეს საღამოხანს „თეატერ-კაფეში" ვსხედვართ, თეატრის მოედანზე, თეატრისა და გოეთე-შილერის ძეგლის პირდაპირ რომ დგას: დავით ლაშქარაძე, ჩვენი გოეთეს საზოგადოების თავმჯდომარე, მისი მეუღლე — ტასია, მანანა პაიჭაძე, მანანა ქვანიშვილი, დათო კაკაბაძე და მე. რილკეებზე ვლაპარაკობთ. დავით ლაშქარაძე და მე, ცხადია, ლუდს ვეწაფებით. ჩვენ მოგვიახლოვდა ერთი ახალგაზრდა ქალი და დამტვრეული ქართულით გამოგველაპარაკა. კაფის ერთ-ერთი მეპატრონე მოჩნდა, ზიბილე (გვარი არ მახსოვს). დედამისი ქართველ დიასამიძეზე ყოფილა გათხოვილი (საქართველოში ზიბილე შვიდჯერაა ნამყოფი და, როგორც ჩანს, ცალკეული ქართული ფრაზები დაუმახსოვრებია). ზიბილეს თავი არ მოუქაჩლებია, ჩვენი დანახარჯი არ გადაუხდია. ევროპაში ასეთი „მარიფათი" არ მოდის! ანალოგიურ სიტუაციაში ქართველი თავს გაიგიჟებდა, თუმც „ზარალს" შემდეგ სხვა კლიენტებისგან ამოიგებდა.

...გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ანდა, როგორც გერმანელები ამბობენ, „გარდატეხის" („ვენდე") მერე, ვაიმარში გოეთეს, შილერის, ლისტის და სხვათა მემორიალებს ორი ახალი „ღირსშესანიშნაობა" ანდა „ატრაქციონი" შეემატა. ხილ-შეს [illegible], რომელიც ამჟამად ყველასათვის ღიაა და რილკეს შვილიშვილი იოზეფა ბაიერი...

სურათებზე: ზემოთ — რილკე და კლარა ვესტჰოფი ვესტერვედეში 1901 წ. **ქვემოთ** — რილკეს შვილიშვილის ბაღში. 1992 წ. 6 ივნისი, ვაიმარი.